

CM 16 Flex



CM 16 Flex

Ceresit CM 16 Flex ელასტიური წებო Fibre Force-ის არმირებული მიკრობოჭკოებით ნებისმიერი სახის ფილების დასამაგრებლად

თვისებები

- ელასტიური, დეფორმაციისადმი მედეგი;
- გააჩნია მაღალი ადჰეზიურობა კერამოგრანიტის, კლინკერის და ბუნებრივი ქვის მიმართ;
- წყალ- და ყინულგამძლე;
- შეიძლება გამოყენება გათბობიან მოჭიმულ იატაკებზე, აივნებზე, ტერასებსა და დახურულ აუზებში;
- მარმირებელი ბადის ეფექტი;
- გამოიყენება თაბაშირ-მუყაოზე, გვლ, დსპ, დვპ და OSB-ზე;
- შეთავსებადია ჰიდროსაიზოლაციო Ceresit CR 65, CR 166 და CL 51 მასალებთან;
- ვარგისია შენობების შიგნით ძველ ფილებზე გამოსაყენებლად;
- ვარგისია შიდა და გარე სამუშაოებისთვის;
- ეკოლოგიურად უსაფრთხო.



გამოყენების არეალი

განკუთვნილია ყველა სახის მინერალური ფილის-კერამიკული, კერამოგრანიტის, კლინკერული, ბუნებრივი ქვის (მარმარილოს გარდა) დასამაგრებლად, კედლებსა და იატაკებზე შენობების შიგნით და გარეთ, ისეთ საფარებზე, როგორცაა ბეტონი, ცემენტისა და კირ-ცემენტის ბათქაშები, ცემენტის მოჭიმული იატაკები, არსებული კერამიკული პირნაკეთობები (შენობების შიგნით), მსუბუქი და უჯრედოვანი ბეტონი, ჰიდროსაიზოლაციო საფარები CR 65, CR 166 და CL51 მასალებიდან. გამოიყენება ცოკოლის, პარაპეტების, შემოსასვლელი ჯგუფების, აივნებისა და ტერასების იატაკების, ექსპლუატაციაში არსებული სახურავების, დახურული აუზების, რეზერვუარების და ა.შ. მოპირკეთებისას. **CM16 შეიძლება გამოყენებულ იქნას ბუხრის გარედან მოსაპირკეთებლად, იმ პირობით, რომ მოსაპირკეთებელი ზედაპირის ტემპერატურა არ აღემატება +70 გრადუსს და ასევე არ უნდა იყოს უშუალო შეხება ცეცხლთან. პირველი მაღალი ტემპერატურის ზემოქმედება შესაძლებელია დატანებიდან არა უადრეს 14 დღისა.**

შიდა სამუშაოების განხორციელებისას, შესაძლებელია ისეთ რთულ და დეფორმირებად საფუძვლებზე გამოყენება, როგორცაა გათბობიანი მოჭიმული იატაკები, თაბაშირ-მუყაოს და ანჰიდრიდული საფუძვლები, დსპ და OSB, თაბაშირ-მუყაო და თაბაშირ-მუყაოს ფურცლები. თავისი ელასტიურობის წყალობით წებო უზრუნველყოფს დეფორმაციისას მხლერი ძაბვების წარმოქმნის თავიდან აცილებას. არამყარი უბნები, ამრევებული ადგილები, სამალიარო ფენები უნდა მოცილდეს. ძლიერ შემწოვი საფარები უნდა დამუშავდეს CT 17 გრუნტით. 5 მმ.-მდე უსწორმასწორო ადგილები შეიძლება გასწორდეს წებოთი CM 117 ფილების დადებამდე არანაკლებ ერთი დღე-ღამით ადრე. კედლებზე არსებული უფრო მნიშვნელოვანი უსწორმასწორო ადგილები რეკომენდებულია გასწორდეს ბათქაშებით CT 24, CT 24 Light ან CT 29, ხოლო იატაკებზე- იატაკისთვის განკუთვნილი ნარევიებით CN ჯგუფის Ceresit-ით.



საფუძვლის მომზადება

საფუძველი უნდა იყოს საკმარისად მზიდუნარიანი, მშრალი და გაიწმინდოს მტვრისგან, ცხიმებისგან, ბიტუმისგან და სხვა ჭუჭყისგან. წებო CM 16 Flex-ის გამოყენება დაშვებულია შემდეგ საფუძვლებზე:

შენობების შიგნით და გარეთ:

- ბეტონი (ასაკი ≥ 3 თვე, ტენიანობა $\leq 4\%$);
- ქვიშა-ცემენტისა და კირ-ცემენტის ბათქაშები, ქვიშა-ცემენტის მოჭიმული იატაკები (ასაკი ≥ 28 დღე-ღამე, ტენიანობა $\leq 4\%$);
- ბათქაშები CT 24 და CT 29 (ასაკი ≥ 3 დღე-ღამე, ტენიანობა $\leq 4\%$);
- ცემენტის შემკვრელით დამზადებული იატაკის ნარევისგან დასხმული მოჭიმული იატაკები (დამამზადებლის რეკომენდაციების თანახმად);
- მსუბუქი და უჯრედოვანი ბეტონი, მტვრისგან გაწმენდილი და CT 17 გრუნტით ორჯერ დამუშავებული;
- ჰიდროსაიზოლაციო საფარები CR 65 და CR 166 მასალებიდან (ასაკი ≥ 3 დღე-ღამე).

შენობების შიგნით:

- თაბაშირის, ანჰიდრიტული და შერეული შემკვრელიანი საფუძვლები (ტენიანობა $\leq 0,5\%$), გახეხილი და CT 17 გრუნტით დამუშავებული;
- თაბაშირ-მუყაოს და თაბაშირბოჭკოვანი ფურცლები, დამაგრებული დამამზადებლის ინსტრუქციის შესაბამისად, დამუშავებული CT 17 გრუნტით;
- დსპ და დვპ (სისქე ≥ 22 მმ.), გახეხილი, მტვრისგან გაწმენდილი და დამუშავებული გრუნტით CT 17;
- ფილები OSB (სისქე ≥ 22 მმ), გახეხილი უბნები ზუმფარის ქაღალდით და მტვრისგან გაწმენდილი;
- CL 51 მასალის ჰიდროსაიზოლაციო საფარი (ასაკი ≥ 16 საათი).

CERESIT CM 16_01.2020

სამუშაოთა შესრულება

დაგრუნტით საფუძველი. მაღალი შეწოვისუნარიანობის ან დასუსტებული ზედაპირული ფენის შემთხვევაში, დამუშავეთ საფუძველი გრუნტით CT 17. კედლებზე გლუვი მჭიდრო საფუძვლები, მაგალითად, მონოლითური ბეტონის, რეკომენდებულია დამუშავდეს გრუნტი CT 19 ბეტონკონტაქტით. **ოამზადეთ ნარევი.** მშრალი ნარევი თანდათანობით ჩაყარეთ წყალში, მოურიეთ მიქსერით ან საცმიანი დრელით 400–800 ბრ/წთ. სიჩქარეზე ერთგვაროვანი, უკომტო მასის მიღებამდე. შემდეგ დაელოდეთ 5 წუთი ნარევის მოსამწიფებლად და კიდევ ერთხელ მოურიეთ.

დაიტანეთ წებო საფუძველზე. დაიტანეთ წებო გლუვი შპატელით და გააკეთეთ სავარცხლისებრი სტრუქტურის პროფილი. გარე სამუშაოების შესრულებისა და დიდი ზომის ფილების დამაგრებისას რეკომენდებულია ფილების დასაწებებელ ზედაპირზე დამატებით დაიტანოთ წებოს მთლიანი თხელი ფენა («კომული ხერხი»). მნიშვნელოვანია: ფილები არ დააღობოთ! **დააწყვეთ ფილები.** დააწყვეთ ფილები წებოს ფენაზე და დააწყეთ წებოს დატანებიდან არაუგვიანეს 30 წუთისა. ფილის მდგომარეობა უნდა გასწორდეს დაწყობიდან 25 წუთის განმავლობაში. ადჰეზიური კონტაქტის ფართობი ფილის დაწყობის შემდეგ უნდა იყოს არანაკლებ 65%-ისა კედლებზე და 80% -იატაკებზე.

მნიშვნელოვანია: დაუშვებელია ფილების ერთმანეთთან მჭიდროდ დაწყობა! კბილანების ზომის არჩევა ხდება ფილების ზომების მიხედვით (იხ. ცხრილი). პირაპირების სიგანეს ადგენენ ფილების ზომის და ექსპლუატაციის პირობების მიხედვით. პირნაკეთობის პირაპირები რეკომენდებულია შეივსოს ფილების დამაგრებიდან არაუადრეს 24 საათის შემდეგ (არაშემწოვ საფუძვლებზე, მაგალითად ძველი ფილების პირნაკეთობებზე, არაუადრეს 72 საათის შემდეგ). წებოს ახალი ნარჩენები ადვილად ირეცხება წყლით, გამშრალი წებოს მოცილება შესაძლებელია მხოლოდ მექანიკურად.

რეკომენდაციები

სამუშაოები უნდა შესრულდეს მშრალ პირობებში, ჰაერის და საფუძვლის +5 -დან +30°C -მდე ტემპერატურაზე და ჰაერის არაუმეტეს 80% ფარდობით ტენიანობაზე. გათბობიან მოჭიმული იატაკების მოპირკეთებისას, გათბობა უნდა გამოირთოს არანაკლებ 48 საათით ადრე სამუშაოების დაწყებამდე და გამოირთოს მათი დასრულებიდან არანაკლებ 72 საათის შემდეგ. შეფუთვაზე აღნიშნული ხარისხის ყველა მაჩვენებელი და რეკომენდაცია მართებულია გარემოს +20°C ტემპერატურაზე და ჰაერის 60% ფარდობით ტენიანობაზე. სხვა პირობებში პროდუქტის ტექნიკური მახასიათებლები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნულისგან. შეწოვის დაბალი უნარის მქონე საფუძვლებზე პროდუქტის დამაგრების და პირაპირების შევსებისთვის მისი მზაობის დრო იზრდება .

შენახვის ვადა

შენახვის ვადა მშრალ პირობებში ორიგინალურ დაუზიანებელ შეფუთვაში - არაუმეტეს 12 თვისა დამზადების დღიდან.

ტექნიკური მახასიათებლები

Ceresit CM 16 FF	ცემენტი, მინერალური შემავსებლები, მამოდიფიცირებელი დანამატები, მარმირებელი მიკრობოჭკოები
შემრევი წყლის რაოდენობა:	დაახლოებით 6,25-6,75 ლ. 25 კგ. მშრალი ნარევისთვის
მოხმარების დრო:	არანაკლებ 2 საათი
გამოყენების ტემპერატურა:	+ 5-დან + 30°C
ექსპლუატაციის ტემპერატურა:	-50 დან +70°C-მდე
ღია დრო:	დაახლოებით 30 წუთი
კორექტირების დრო:	დაახლოებით 30 წუთი
ფილის დაცურება:	არაუმეტეს 0,5 მმ
ნაკერების ამოვსება:	24 საათის შემდეგ
ადჰეზიურობა ბეტონის მიმართ 28 დღე-ღამის ასაკის:	არანაკლებ 1,0 მპა
ადჰეზია წყალში გაჩერების შემდეგ:	არანაკლებ 1,0 მპა
ადჰეზია გაყინვის/დნობის ციკლების შემდეგ:	არანაკლებ 1,0 მპა
ლუბ 1,0 მპა	არანაკ
ადჰეზია ტემპერატურული ზემოქმედების შემდეგ:	არანაკლებ 1,0 მპა

საორიენტაციო ხარჯი CM 16 Flex ფილის ზომის მიხედვით:

ფილის მხარის სიგრძე, სმ	შპატელის კბილის ზომა, მმ	ხარჯი, კგ/მ ²
30-მდე	10	დაახლოებით 4,2
30-ზე მეტი	12	დაახლოებით 6

შენიშვნები

- მასალის დანახარჯი დამოკიდებულია საფუძვლის მომზადების ხარისხზე და
- სამუშაოთა შემსრულებლების კვალიფიკაციაზე და შეიძლება იყოს მეტი მითითებულ მნიშვნელობებზე;
- დაფენის კომბინირებული ხერხის დროს წებოს ხარჯი მატულობს. საჰაერო-მშრალ გარემოში დაყოვნებისას

პროდუქტი შეიცავს ცემენტს და, წყალთან ურთიერთობისას, იძლევა ტუტე რეაქციას, ამიტომ, მასთან მუშაობის დროს, აუცილებელია თვალებისა და კანის დაცვა. თუ ნარევი თქვენს თვალში მოხვდება, ჩამოიბანეთ ისინი წყლით და მიმართეთ სამედიცინო დახმარებას. ყველა მითითებული ხარისხის ინდიკატორი და რეკომენდაცია მოქმედებს + 20 ° C – ს ტემპერატურაზე და 60% –ზე შედარებით ტენიანობაზე სხვა პირობებში, მასალის ტექნიკური მახასიათებლები შეიძლება განსხვავდებოდეს მითითებულიდან.

ტექნიკური აღწერილობის გარდა, მასალასთან მუშაობისას, თქვენ უნდა იხელმძღვანელოთ შესაბამისი სამშენებლო კოდექსითა და დებულებით. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი ტექნოლოგიასთან შეუსრულებლობა მასალასთან მუშაობის დროს, აგრეთვე ამ ტექნიკური აღწერილობით გათვალისწინებული მიზნებისათვის და პირობებში. თუ ეჭვი გეპარებათ მასალის კონკრეტული გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, თქვენ უნდა შეამოწმოთ იგი საკუთარ თავს, ან გაიარეთ კონსულტაცია მწარმოებელთან. ტექნიკური აღწერილობა, ისევე როგორც წერილობით დაუდასტურებელი რეკომენდაციები, არ შეიძლება გახდეს მწარმოებლის უპირობო პასუხისმგებლობის საფუძველი. ამ ტექნიკური აღწერილობის გარეგნობით, ყველა წინა მათგანი ძალადაკარგულად იქცევა.